1987

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 11

1987

4/585

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

18586



# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებანი

№ 11 (507) ნოემბერი 1987 წელი



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


279. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 97-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

280. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

281. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.

282. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ მარნეულის საზღვრების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

283. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

284. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

285. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

286. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

287. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

288. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

289. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. რ. ვ. ბასარიას საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

290. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

291. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო.

292. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ პროკურორისა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ინფორმაციების გამო.

## განყოფილება მეორე

293. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ნ. სკრიპნიჩენკოს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

294. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

295. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

296. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ბლრციანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

297. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ვ. დემეტრაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

298. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ე. ზურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

299. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ც. შ. ჩხიკვიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

300. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ადონიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

301. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

302. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

303. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ხ. ბ. კიპაროიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

304. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. შ. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

305. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. პ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

306. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. სიგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

307. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. შ. ფალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

308. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

309. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უმაღლესი სკოლის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

310. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

311. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების" თანამშრომელთათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

№ 11
ეროვნული ბიბლიოთეკა

312. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ვ. ენგოიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

313. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა კომიტეტის სისტემის მუშაკებისათვის რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

314. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშაკთა ჯგუფისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

315. **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ადამიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 279 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 97-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებული საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 97 მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 97.** კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მეურნეობების ნათესების წახდენა, მინდვრად არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღებული მოსავლის გაფუჭება ან განადგურება, ნარგავების დაზიანება

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მეურნეობების ნათესების წახდენა, მინდვრად არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღებული მოსავლის გაფუჭება ან განადგურება, ნარგავების დაზიანება პირუტყვის ან ფრინველის მიერ —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ოცდახუთ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ორმოცდაათ მანეთამდე.

ნათესების განმეორებით წახდენა, მინდვრად არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღებული მოსავლის განმეორებით გაფუჭება ან განადგურება, ნარგავების განმეორებით დაზიანება ასეთივე სამართალდარღვევისათვის ჯარიმის დაკისრებიდან ერთი წლის განმავლობაში —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ას მანეთამდე.

ნათესებში ან ნარგავებში ავტომანქანით, ტრაქტორით ან სხვა მანქანით გავლა —

გამოიწვევს დაჯარიმებას ათ მანეთამდე.

№ 11
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესებში ან ნარგავებში საჭაპანო ტრანსპორტით გავლა — გამოიწვევს დაჯარიმებას ხუთ მანეთამდე“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 2 ნოემბერი.**
**№ 1475—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 280 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ამხ. ედუარდ ივანეს ძე **კანდელაკი** — საქინფორმის დირექტორი დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრად.

ამხ. ალექსანდრე შოთას ძე **იოსელიანი** გამოყვანილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 10 ნოემბერი.**
**№ 1478—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 281 სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ბ. ფოცხვერაშვილის ინფორმაცია, აღნიშნავს, რომ ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გარკვეულ მუშაობას ეწევიან სკკპ XXVII ყრილობის,

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის.

ამასთან ერთად, როგორც ადგილზე მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი მოწმობს, რაიონის საბჭოთა ორგანოები კვლავ სათანადოდ ვერ იყენებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას არსებული ნაკლოვანებების დასაძლევად და მინდობილი საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. შედეგად სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში გარკვეული დადებითი მიღწევების მიუხედავად რიგ სამრეწველო საწარმოებში არ სრულდება პროდუქციის რეალიზაციის გეგმები, მისი მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებები, ნელა მიმდინარეობს წარმოების კვლავაღჭურვა და მართვის პროგრესული ეკონომიკური მეთოდების დანერგვა, მუშაობის ორ-და სამცვლიან რეჟიმზე გადასვლა, ირღვევა სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინა. სოფლის მეურნეობაში სუსტად ინერგება შრომის ორგანიზაციის საიჯარო მეთოდი, კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია, მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. სერიოზული ჩამორჩენა და ნაკლოვანებებია ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში, მომსახურების სხვა დარგებში. ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია საბჭოთა და სამეურნეო კადრების უგერგილო, უყაირათო მუშაობით, მათი დენადობით, შრომის დისციპლინის დარღვევებით, სოციალისტური საკუთრების დატაცებებით გამოწვეული დანაკარგები. სახელმწიფო და შრომის დისციპლინის უხეში დარღვევები გამოვლინდა სამტრედიის ლითონის დამუშავების საწარმოო უბანში, ბამბის სართავ ფაბრიკაში, პურის საწარმოში, ხორცკომბინატში და ა. შ.

ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი უსულგულოდ ეკიდება ადამიანთა შრომის, საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტას. 25 სოფელში საერთოდ არ არის ორგანიზებული საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ამ და სხვა ნაკლოვანებებს რაიონის ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ, პრინციპულად არ აკრიტიკებენ სესიებსა და აღმასკომების, მუდმივი კომისიების სხდომებზე.

სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი კრიტიკულად არ აანალიზებს თავის მუშაობას, საქმის ვითარებას, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიმართ არ იჩენს სათანადო მომთხოვნელობას. ხშირად ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების გადაწყვეტილებები ისე იხსნება კონტროლიდან, რომ არ არის განხორციელებული მთელი რიგი პუნქტები.

სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე არცთუ იშვიათად ძირითადი ყურადღება მუშაობის დადებით მომენტებზეა გამახვილებული, აკრიტიკებენ თვით ნაკლოვანებებს და არა დამნაშავე პირთ, სათანადოდ არ აანალიზებენ ხარვეზების გამომწვევ მიზეზებს, იღებენ ზოგად, არაკონკრეტულ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც ხშირად არ არის განსაზღვრული ვადები და შესრულებისათვის პასუხისმგებელნი. ეს პირველ რიგში

შეეხება კულაშის სადაბო, ნაზაკევისა და ტოლების სასოფლო საბჭოებს.

გომის, გამოჩინებულის, ოფეთის, გორმაღალის და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომები ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის ნაცვლად ბევრ დროს ანდომებენ სხდომებისა და თათბირების ჩატარებას, იღებენ მრავალ გადაწყვეტილებას.

სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებში სუსტია კრიტიკა „ქვემოდან". მიუხედავად არსებული მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემებისა მეცხრამეტე მოწვევის პერიოდში ადგილობრივი საბჭოების სესიებზე დეპუტატები ნაკლებად აკრიტიკებდნენ აღმასკომების მათი თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და სამსახურების ხელმძღვანელთა მუშაობას.

რაიონის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა დაბალ აქტიურობაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ სესიებზე საკითხების განხილვაში არ მონაწილეობს მათი გარკვეული ნაწილი. მაგალითად, მეცხრამეტე მოწვევის განმავლობაში რაიონული საბჭოს 86 დეპუტატიდან კამათში მონაწილეობა მიიღო 54-მა, საქალაქო საბჭოს 100 დეპუტატიდან — 40-მა, ხოლო სასოფლო საბჭოს 476 დეპუტატიდან — მხოლოდ 385-მა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივი საბჭოები ნაკლებად აწვდიან მათ ინფორმაციას საბჭოებისა და მათდამი დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობის შესახებ.

სრულყოფას საჭიროებს სესიებზე, ამომრჩევლებთან დეპუტატების შეხვედრებზე, შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და მათზე რეაგირების სისტემა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სესიებზე გამოთქმული შენიშვნები დიდი დაგვიანებით განიხილება, რაც ხელს უშლის დროულ რეაგირებას. სისტემატური ხასიათი არ აქვს ადგილობრივი საბჭოების სესიებზე დეპუტატთა ინფორმირებას გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების სარეალიზაციოდ გაწეული საქმიანობის შესახებ.

ჯერ კიდევ დაბალია დეპუტატთა პასუხისმგებლობა განაწესების შესრულებისათვის. მეცხრამეტე მოწვევის სასოფლო საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული 299 განაწესიდან შესრულდა მხოლოდ 289, რაიონული საბჭოს დეპუტატთათვის მიცემული 81 განაწესიდან შეუსრულებელი დარჩა 2.

ნაკლები ყურადღება ეთმობა კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას შრომითს კოლექტივებში, დეპუტატთა ჯგუფებსა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებში.

რაიონის საბჭოთა ორგანოები სათანადო სიმწვავით არ რეაგირებენ კრიტიკისადმი არასწორი დამოკიდებულების ფაქტებზე. ხშირად საბჭოთა თუ სამეურნეო მუშაკები სიტყვით ეთანხმებიან შენიშვნებს, მაგრამ არაფერს აკეთებენ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

რაიონულ გაზეთ „წინსვლაში", მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთებში არასაკმარისად ქვეყნდება კრიტიკული მასალები, მშრომელთა წერილები

რაიონის საბჭოთა ორგანოების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის საკითხებზე. ბევრ პუბლიკაციას აკლია კონკრეტულობა და დამაჯერებლობა. რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები სათანადოდ არ ზრუნავენ ადგილობრივი პრესისა და რადიომაუწყებლობის კრიტიკული გამოსვლების ქმედითობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს, მის აღმასკომს:

— გააქტიურონ მუშაობა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივი განვითარებისათვის; შეიმუშაონ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, მისი შესრულების მიმდინარეობის თაობაზე პერიოდულად მოახსენონ რაიონული საბჭოს სესიას;

— უფრო ფართოდ გამოიყენონ კრიტიკა და თვითკრიტიკა კადრების აღზრდის საქმეში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად მშრომელთა დარაზმვაში. ადამიანებისადმი ნდობა და პატივისცემა ორგანულად შეუხამონ პრინციპულ მომთხოვნელობას სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაცვაში; წინ აღუდგნენ ზოგიერთი ხელმძღვანელის მისწრაფებას ობიექტური მიზეზებით გაამართლოს საგეგმო და სახელშეკრულებო დავალებების შეუსრულებლობა, სოციალურ სფეროში, ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები;

— განავითარონ კრიტიკა „ქვემოდან"; მიაღწიონ, რომ ხელმძღვანელები უჩვენებდნენ მასზე სწორი, ჯანსაღი რეაგირების, თავიანთი საქმიანობის შეფასებისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულების მაგალითს;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მნიშვნელოვნად აამაღლონ მისი ეფექტიანობა; გააძლიერონ საბჭოების აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, თითოეული დეპუტატის პასუხისმგებლობა სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში; მკვეთრად გაზარდონ აღმასკომების საქმიანობის საკითხებზე დეპუტატთა აქტივის ინფორმირებულობის დონე;

— შექმნან საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის, განხილვისა და რეალიზაციის მწყობრი სისტემა; ძირეულად გააუმჯობესონ მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია, მათ განცხადებებზე, წინადადებებსა და საჩივრებზე მუშაობის დონე;

— პრაქტიკაში დანერგონ საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშების მოსმენა კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ;

— მუდმივად იზრუნონ, რომ ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, რადიოთი სისტემატურად ქვეყნდებოდეს და გადაიცემოდეს კრიტიკული მასალები, იბეჭდებოდეს მშრომელთა წერილები საბჭოთა ორგანოების საქმიანობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე; განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებები კრიტიკული პუბლიკაციების ქმედითობისათვის.

2. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა, მათმა აღმასკომებმა შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები თავიანთ საქმიანობაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის.

3. სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა (ამხ. ბ. ფოცხვერაშვილი) ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1988 წლის ოქტომბერში.

4. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 13 ნოემბერი.**
**№ 1483—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 282 ქალაქ მარნეულის საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების შესაბამისად ქალაქ მარნეულის ტერიტორია განისაზღვროს 2282,82 ჰექტარით.

2. დამტკიცდეს ქალაქ მარნეულის საზღვრების აღწერილობა (დანართი ერთვის დადგენილების დედანს).

3. დაწესდეს, რომ ქალაქ მარნეულის საზღვრების ფარგლებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები რჩება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა სარგებლობაში და ნაკვეთების გამოყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიწებიდან ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. გამოეყოს მარნეულის რაიონის ყიზილ-აჯლოს სასოფლო საბჭოს სოფელი ჯანდარი და გაუქმდეს იგი ქალაქ მარნეულის საზღვრებში მოქცევასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 25 ნოემბერი.**
**№ 1605—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

### 283 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსის, მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების, საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლებისა და კულტურის, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხთა, ახალგაზრდობის საქმეთა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

(მატება პროცენტობით 1987 წლის გეგმასთან შედარებით)

| | |
|---|---|
| წარმოებული ეროვნული შემოსავალი | 4,6 |
| რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე | 3,8 |
| მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები | 5,1 |
| შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის მიხედვით: | |
| მრეწველობაში | 4,2 |
| მშენებლობაში | 3,2 |
| მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან | 76 |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა — სულ | 5,6 |
| მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების რეალიზაციის მოცულობა | 16,2 |
| კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით | 3,1 |

უზრუნველყოფილ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება დადგენილი წესით.

სოციალური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით 1988 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლუატაციოდ გადაეცეს 2020,7 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, 15,93 ათასადგილიანი სკოლამდელთა დაწესებულებანი, 0,3 ათასადგილიანი საბავშვო სახლები, 29,63 ათასადგილიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, 1,83 ათასსაწოლიანი საავადმყოფოები, ცვლაში 2,83 ათასი ავადმყოფისათვის გათვალისწინებული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი.

მუხლი 3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებმა და საწარმოებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მითითებების, ივნისის პლენუმის მიერ დამტკიცებული ეკონომიკის მართვის ძირეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნის ძირითადი დებულებების, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებისა და „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე უზრუნველყონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის დროს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განუხრელი განხორციელება, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და მისი ეფექტიანობის გადიდება, ეკონომიკის მართვის მთლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემის თანამიმდევრული ეტაპობრივი შექმნა, რომელიც უწინარეს ყოვლისა დაფუძნებული იქნება სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, შრომითი კოლექტივების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისებისა და წარმოებისა და სოციალური განვითარების მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე.

უზრუნველყონ მუდმივი კონტროლი „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესრულებისადმი, საწარმოებისათვის მინიჭებულ უფლებათა მკაცრი დაცვისადმი. ყოველნაირად განამტკიცონ დემოკრატიული საწყისები საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესების მართვაში. შექმნან რეალური წანამძღვრები წარმოების ეფექტიანობის გადიდებით ყველა მშრომელის პირადი დაინტერესების რეალიზაციისათვის. აქტიურად დანერგონ კოლექტიური იჯარა და შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმები. განავითარონ საწარმოთა ეკონომიკური შეჯიბრება, როგორც სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა.

შრომითი კოლექტივების მთელი მეცადინეობა მოახმარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის უზრუნველყოფის, სახალხო მეურნეობაში საზოგადოების განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ამოცანების გადაწყვეტას, აქტიურად განახორციელონ რესურსდაზოგვის, ხედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ყველა ბუნებრივი რესურსის ყოველმხრივი მომჭირნეობის გეზი.

მუხლი 4. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა მეურნეობრიობის ახალ პირობებში ტერიტორიული მართვის გარდაქმნის შესახებ სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მითითებების საფუძველზე გაზარდონ ტერიტორიათა განვითარებისადმი ხელმძღვანელობის ეფექტიანობა, უფრო ფართოდ გამოიყენონ მინიჭებული უფლებები, რათა კომპლექსურად გადაწყვიტონ ეკონომიკური, სოციალური და ბუნების დაცვის ამოცანები, აამოქმედონ ყველა რეზერვი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, გააფართოონ ბინების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა და მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, საქვეუწყებო ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სახალხო მოხმარების სამრეწველო და

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასურსათო საქონლის წარმოება, ფასიანი მომსახურების მოცულობა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოოპერაციული ფორმებისა და მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას.

მუხლი 5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.**

**№ 107—XI ს.**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 284 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე დეპუტატების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.

№ 108—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## 285 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი** 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 3.601.667 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი** 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოსავალი — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების საფასური, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სოციალისტური მეურნეობისაგან მიღებული სხვა შემოსავალი — 2.901.009 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით.

**მუხლი** 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის — მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, აგროსამრეწველო კომპლექსის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის განკუთვნილი ხარჯები — 1.579.397 ათასი მანეთის საერთო თანხის ოდენობით.

**მუხლი** 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებების — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის განკუთვნილი ასიგნებანი — 1.833.026 ათასი მანეთის საერთო ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ნაწილში 410.000 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი** 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლოების შესანახი ასიგნებანი 43.630 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი** 6. დამტკიცდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1988 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილში 2.506.189 ათასი მანეთის ოდენობით, საკასო საბრუნავი სახსრები 1988 წლის 1 იანვრისათვის 37.510 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1988 წლის ადგილობრივი ბიუჯეტები შემდეგი ოდენობით:

(ათასი მანეთი)

| | შემოსავალი | მათ შორის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | გასავალი | საკასო საბრუნავი სახსრები 1988 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 113.452,4 | 80.687,2 | 113.452,4 | 4390 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 82.997,0 | 63.303,8 | 82.997,0 | 3140 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 31.125,5 | 25.621,8 | 31.125,5 | 1320 |
| 4. ქალაქი თბილისი | 334.877,6 | 245.486,8 | 334.877,6 | 7700 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 57.647,7 | 46.816,5 | 57.647,7 | 1920 |
| 6. ქალაქი ფოთი | 17.522,0 | 14.850,4 | 17.552,0 | 400 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 11.867,8 | 10.198,1 | 11.867,8 | 500 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 41.428,7 | 35.364,6 | 41.428,7 | 1050 |
| 9. ქალაქი გორი | 9.671,4 | 4.352,2 | 9.671,4 | 420 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 6.765,2 | 5.826,4 | 6.765,2 | 300 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 7.889,8 | 6.261,9 | 7.889,8 | 380 |
| 12. ქალაქი წყალტუბო | 8,813,5 | 6.787,9 | 8.813,5 | 370 |
| 13. ქალაქი მარნეული | 4.597,0 | 3.583,1 | 4.597,0 | 140 |
| 14. აბაშის რაიონი | 5.115,5 | 4.128,0 | 5.415,5 | 250 |
| 15. ადიგენის რაიონი | 5.009,8 | 4.605,5 | 5.009,8 | 200 |
| 16. ამბროლაურის რაიონი | 4.744,8 | 4.179,6 | 4.744,8 | 200 |
| 17. ასპინძის რაიონი | 3.757,1 | 3.191,3 | 3.757,1 | 160 |
| 18. ახალქალაქის რაიონი | 9.629,7 | 8.082,3 | 9.629,7 | 460 |
| 19. ახალციხის რაიონი | 8.918,8 | 7.448,4 | 8.918,8 | 370 |
| 20. ახმეტის რაიონი | 7.019,0 | 6.441,7 | 7.019,0 | 300 |
| 21. ბოგდანოვკის რაიონი | 7.373,3 | 6.537,2 | 7.373,3 | 300 |
| 22. ბოლნისის რაიონი | 9.057,2 | 7.679,5 | 9.057,2 | 370 |
| 23. ბორჯომის რაიონი | 7.284,3 | 6.143,4 | 7.284,3 | 290 |
| 24. გარდაბნის რაიონი | 11.478,0 | 8.464,0 | 11.478,0 | 490 |
| 25. გეგეჭკორის რაიონი | 7.843,4 | 6.674,7 | 7.843,4 | 340 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.5.86

| | შემოსავალი | მათ შორის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადე-ბიდან და შემოსავლე-ბიდან | გასავალი | საკასო საბრუ-ნავი სახსრები 1988 წლის 1 იანვრისათ-ვის |
|---|---|---|---|---|
| 26. გორის რაიონი | 9.630,4 | 8.070,0 | 9.630,4 | 420 |
| 27. გურჯაანის რაიონი | 9.884,9 | 8.138,1 | 9.884,9 | 440 |
| 28. დმანისის რაიონი | 6.993,5 | 5.984,8 | 6.993,5 | 290 |
| 29. დუშეთის რაიონი | 6.983,9 | 5.965,0 | 6.983,9 | 310 |
| 30. ვანის რაიონი | 6,390,9 | 5.607,9 | 6.390,9 | 270 |
| 31. ზესტაფონის რაიონი | 10.014,2 | 8.332,7 | 10.014,2 | 450 |
| 32. ზუგდიდის რაიონი | 9.927,5 | 7.913,8 | 9.927,5 | 410 |
| 33. თეთრი წყაროს რაიონი | 5.957,4 | 4.669,1 | 5.957,4 | 240 |
| 34. თელავის რაიონი | 11.588,5 | 9.604,3 | 11.588,5 | 490 |
| 35. თერჯოლის რაიონი | 6.262,3 | 5.213,6 | 6.262,3 | 320 |
| 36. თიანეთის რაიონი | 4609,3 | 4.108,3 | 4.609,3 | 190 |
| 37. კასპის რაიონი | 7.423,2 | 6.164,6 | 7.423,2 | 320 |
| 38. ლაგოდეხის რაიონი | 7.900,8 | 6.025,1 | 7.900,8 | 340 |
| 39. ლანჩხუთის რაიონი | 6.354,1 | 5.283,7 | 6.354,1 | 280 |
| 40. ლენტეხის რაიონი | 3.943,3 | 3.551,1 | 3.943,3 | 180 |
| 41. მაიაკოვსკის რაიონი | 5.526,4 | 4.771,0 | 5.526,4 | 260 |
| 42. მარნეულის რაიონი | 8.948,1 | 6.683,5 | 8.948,1 | 360 |
| 43. მახარაძის რაიონი | 13.546,8 | 10.180,4 | 13.546,8 | 550 |
| 44. მესტიის რაიონი | 5.814,6 | 5.297,8 | 5.814,6 | 230 |
| 45. მცხეთის რაიონი | 7.116,4 | 5.485,1 | 7.116,4 | 300 |
| 46. ონის რაიონი | 3.748,7 | 3.222,9 | 3.748,7 | 160 |
| 47. ორჯონიკიძის რაიონი | 5.826,9 | 5.156,8 | 5.826,9 | 270 |
| 48. საგარეჯოს რაიონი | 7.453,6 | 6.300,7 | 7.453,6 | 320 |
| 49. სამტრედიის რაიონი | 9.148,4 | 7.412,2 | 9.148,4 | 390 |
| 50. საჩხერის რაიონი | 7.128,1 | 6.127,1 | 7.128,1 | 300 |
| 51. სიღნაღის რაიონი | 8.141,8 | 6.988,2 | 8.141,8 | 330 |
| 52. ქარელის რაიონი | 7.094,3 | 5.95,89 | 7.094,3 | 300 |

საქ. სსრ კ. მ.

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | შემოსავალი | მათ შორის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | გასავალი | საკასო საბრუნავი სახსრები 1988 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| 53. ყაზბეგის რაიონი | 2.486,5 | 2.153,4 | 2.486,5 | 130 |
| 54. ყვარლის რაიონი | 6.718,2 | 5.446,4 | 6.718,2 | 300 |
| 55. ჩოხატაურის რაიონი | 5.556,6 | 4.782,1 | 5.556,6 | 250 |
| 56. ჩხოროწყუს რაიონი | 6.278,5 | 5.302,5 | 6.278,5 | 290 |
| 57. ცაგერის რაიონი | 5.219,5 | 4.651,0 | 5.219,5 | 220 |
| 58. ცხაკაიას რაიონი | 7.952,4 | 6.623,5 | 7.952,4 | 340 |
| 59. წალენჯიხის რაიონი | 7.996,2 | 7.752,9 | 7.996,2 | 320 |
| 60. წალკის რაიონი | 7.761,0 | 6.758,7 | 7.761,0 | 320 |
| 61. წითელი წყაროს რაიონი | 5.955,4 | 4.891,1 | 5.955,4 | 290 |
| 62. წულუკიძის რაიონი | 6.402,6 | 5.583,8 | 6.402,6 | 270 |
| 63. ხაშურის რაიონი | 7.622,6 | 6.300,8 | 7.622,6 | 330 |
| 64. ხობის რაიონი | 5.983,7 | 5.201,9 | 5.983,7 | 250 |
| | 1.095.478,0 | 858.081,0 | 1.095.478,0 | 37790 |

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1988 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან და სსრ კავშირის უცოლო, მარტოხელა, მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;

ბ) 1982 წ. სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის თანხიდან — 10 პროცენტი;

გ) მოსახლეობის ნაგებობების, საოჯახო ქონების, ტრანსპორტის საშუალებებისა და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, აგრეთვე უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 10 პროცენტი;

დ) ბრუნვის გადასახადიდან და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | |
|---|---|---|
| | ბრუნვის გადასახადი-დან | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალის-ტური რესპუბლიკა | 54,6 | 38 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 70,1 | 76 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 32,5 | 65 |
| 4. ქალაქი თბილისი | 10,2 | 18 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 16,3 | 17 |
| 6. ქალაქი ფოთი | 76,5 | 70 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 25,6 | 40 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 65,9 | 20 |
| 9. ქალაქი გორი | 40,9 | 50 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 49,8 | 50 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 25,0 | 14 |
| 12. ქალაქი წყალტუბო | 24,6 | 20 |
| 13. ქალაქი მარნეული | 5,9 | 15 |
| 14. აბაშის რაიონი | 31,3 | 35 |
| 15. ადიგენის რაიონი | 94,2 | 65 |
| 16. ამბროლაურის რაიონი | 83,0 | 95 |
| 17. ასპინძის რაიონი | 84,9 | 75 |
| 18. ახალქალაქის რაიონი | 43,1 | 55 |
| 19. ახალციხის რაიონი | 32,3 | 20 |
| 20. ახმეტის რაიონი | 64,4 | 65 |
| 21. ბოგდანოვკის რაიონი | 55,2 | 50 |
| 22. ბოლნისის რაიონი | 79,9 | 40 |
| 23. ბორჯომის რაიონი | 14,5 | 32 |
| 24. გარდაბნის რაიონი | 31,1 | 20 |
| 25. გეგეჭკორის რაიონი | 80,5 | 85 |
| 26. გორის რაიონი | 16,5 | 80 |
| 27. გურჯაანის რაიონი | 77,4 | 35 |

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | |
|---|---|---|
| | ბრუნვის გადასახადი-დან | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან |
| 28. დმანისის რაიონი | 68,2 | 70 |
| 29. დუშეთის რაიონი | 57,6 | 55 |
| 30. ვანის რაიონი | 85,6 | 75 |
| 31. ზესტაფონის რაიონი | 9,0 | 15 |
| 32. ზუგდიდის რაიონი | 91,3 | 65 |
| 33. თეთრი წყაროს რაიონი | 26,5 | 55 |
| 34. თელავის რაიონი | 13,1 | 63 |
| 35. თერჯოლის რაიონი | 1,2 | 90 |
| 36. თიანეთის რაიონი | 85,7 | 75 |
| 37. კასპის რაიონი | 26,2 | 20 |
| 38. ლაგოდეხის რაიონი | 52,6 | 30 |
| 39. ლანჩხუთის რაიონი | 23,9 | 20 |
| 40. ლენტეხის რაიონი | 71,0 | 95 |
| 41. მაიაკოვსკის რაიონი | 81,6 | 35 |
| 42. მარნეულის რაიონი | 73,6 | 58 |
| 43. მახარაძის რაიონი | 8,9 | 15 |
| 44. მესტიის რაიონი | 62,7 | 90 |
| 45. მცხეთის რაიონი | 87,0 | 20 |
| 46. ონის რაიონი | 43,8 | 95 |
| 47. ორჯონიკიძის რაიონი | 56,2 | 90 |
| 48. საგარეჯოს რაიონი | 52,1 | 45 |
| 49. სამტრედიის რაიონი | 18,0 | 40 |
| 50. საჩხერის რაიონი | 77,9 | 85 |
| 51. სიღნაღის რაიონი | 9,9 | 40 |
| 52. ქარელის რაიონი | 36,6 | 25 |
| 53. ყაზბეგის რაიონი | 95,6 | 106 |
| 54. ყვარლის რაიონი | 37,0 | 80 |
| 55. ჩოხატაურის რაიონი | 66,6 | 60 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | |
|---|---|---|
| | ბრუნვის გადასახადი-დან | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან |
| 56. ჩხოროწყუს რაიონი | 56,2 | 55 |
| 57. ცაგერის რაიონი | 75,9 | 95 |
| 58. ცხაკაიას რაიონი | 1,5 | 11 |
| 59. წალენჯიხის რაიონი | 48,0 | 70 |
| 60. წალკის რაიონი | 70,4 | 85 |
| 61. წითელი წყაროს რაიონი | 79,1 | 50 |
| 62. წულუკიძის რაიონი | 59,1 | 60 |
| 63. ხაშურის რაიონი | 2,3 | 42 |
| 64. ხობის რაიონი | 23,7 | 35 |

**მუხლი** 9. გათვალისწინებულ იქნეს ანარიცხები ბრუნვის გადასახადიდან ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში (პროცენტობით) სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის ფიქსირებული ოდენობით:

| | | | |
|---|---|---|---|
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 19 | თერჯოლის რაიონი | 7 |
| ქალაქი თბილისი | 5 | თელავის რაიონი | 3 |
| ქალაქი ქუთაისი | 5 | თიანეთის რაიონი | 34 |
| ქალაქი ფოთი | 6 | კასპის რაიონი | 8 |
| ქალაქი ჭიათურა | 15 | ლაგოდეხის რაიონი | 8 |
| ქალაქი რუსთავი | 3 | ლანჩხუთის რაიონი | 9 |
| ქალაქი გორი | 3 | ლენტეხის რაიონი | 42 |
| ქალაქი ტყიბული | 8 | მაიაკოვსკის რაიონი | 20 |
| ქალაქი ზუგდიდი | 3 | მარნეულის რაიონი | 4 |
| ქალაქი წყალტუბო | 3 | მახარაძის რაიონი | 3 |
| ქალაქი მარნეული | 2 | მესტიის რაიონი | 39 |
| აბაშის რაიონი | 19 | მცხეთის რაიონი | 2 |
| ადიგენის რაიონი | 24 | ონის რაიონი | 22 |
| ამბროლაურის რაიონი | 21 | ორჯონიკიძის რაიონი | 27 |
| ასპინძის რაიონი | 32 | საგარეჯოს რაიონი | 6 |
| ახალქალაქის რაიონი | 12 | სამტრედიის რაიონი | 2 |
| ახალციხის რაიონი | 9 | საჩხერის რაიონი | 17 |
| ახმეტის რაიონი | 8 | სიღნაღის რაიონი | 8 |
| ბოგდანოვკის რაიონი | 16 | ქარელის რაიონი | 17 |
| ბოლნისის რაიონი | 12 | ყაზბეგის რაიონი | 20 |
| ბორჯომის რაიონი | 3 | ყვარლის რაიონი | 11 |
| გარდაბნის რაიონი | 4 | ჩოხატაურის რაიონი | 16 |
| გეგეჭკორის რაიონი | 13 | ჩხოროწყუს რაიონი | 15 |
| გორის რაიონი | 5 | ცაგერის რაიონი | 30 |
| გურჯაანის რაიონი | 3 | ცხაკაიას რაიონი | 6 |
| დმანისის რაიონი | 23 | წალენჯიხის რაიონი | 7 |
| დუშეთის რაიონი | 10 | წალკის რაიონი | 19 |
| ვანის რაიონი | 17 | წითელი წყაროს რაიონი | 7 |
| ზესტაფონის რაიონი | 7 | წულუკიძის რაიონი | 9 |
| ზუგდიდის რაიონი | 5 | ხაშურის რაიონი | 4 |
| თეთრი წყაროს რაიონი | 6 | ხობის რაიონი | 14 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი** 10. დამტკიცდეს 1988 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით მოგებიდან გადასახდელების, მოგების თავისუფალი ნაშთის, მოგებიდან ანარიცხების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების ნაწილის ანარიცხები, რომლებიც რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეაქვს რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების ყველა გაერთიანებას, საწარმოს და სამეურნეო ორგანიზაციას 10 პროცენტის ოდენობით და „საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 5 ნოემბრის № 561 დადგენილებით გათვალისწინებული თანხებით.

**მუხლი** 11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.**
**№ 109—XI ს.**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 286 საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 3.661.570 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 3.590.712 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 70.858 ათასი მანეთის გადამეტებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.
№ 110—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 287 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1987 წლის 31 ივლისისა „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ";

1987 წლის 3 აგვისტოსი „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

1987 წლის 3 სექტემბრისა „სახელმწიფო არბიტრაჟის საკითხებზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

1987 წლის 3 სექტემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ";

1987 წლის 14 სექტემბრისა „საქართველოს სსრ მიწის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1987 წლის 23 სექტემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ";

1987 წლის 23 სექტემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ";

1987 წლის 20 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 176-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ";

1987 წლის 20 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ";

1987 წლის 20 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ";

1987 წლის 2 ნოემბრისა „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 97-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.

№ 111—XI ს.

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

**288** საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 2 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ".

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253; 1981 წ., № 13, მუხ. 302; 1983 წ., № 3, მუხ. 76, № 4, მუხ. 113; 1984 წ., № 2, მუხ. 54; 1985 წ., № 12, მუხ. 394; 1986 წ., № 8, მუხ. 166; 1987 წ., № 4, მუხ. 86) შემდეგი დამატება და ცვლილება:

27-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი";

29-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.**

**№ 112—XI ს.**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**289** ამხ. რ. ვ. ბასარიას საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 2 სექტემბრის ბრძანებულება ამხ. რევაზ ვლადიმერის ძე **ბასარიას** სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ და- ნიშვნის შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.
**№ 113—XI ს.**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 290 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემად- გენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღ- ლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.
**№ 114—XI ს.**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 291 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და სა- შენ მასალათა მრეწველობის კომისიის მიერ შეკითხვის წე- სით დაყენებული საკითხის გამო

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე — რესპუბლიკაში წლეულს მომხდარი სტიქიური უბედურების შე- დეგების სალიკვიდაციოდ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ, საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. დ. მგელაძის პასუხი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. აღინიშნოს, რომ 1987 წლის იანვარ-აგვისტოში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო დადგენილებათა შესაბამისად, რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა განახორციელეს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი. დაზარალებული რაიონებიდან ასობით ოჯახი გადმოსახლებულ იქნა სხვა რეგიონებში; მათთვის აშენდა საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. დიდი მუშაობა მიმდინარეობს მდინარეთა კალაპოტების გასამაგრებლად.

2. დაევალოთ:

— საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც მონაწილეობენ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობათა მშენებლობაში, — საჭირო რეზერვებისა და საშუალებათა გამონახვით უზრუნველყონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;

— სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამმართველო „საქმთავარწყალმშენს" და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკურ გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციას" — მიიღონ ზომები წყალდიდობისაგან დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის, სამელიორაციო სისტემების შეკეთებისა და აღდგენის სამუშაოთა დასახული პროგრამის შესასრულებლად;

— საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს — შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით დააჩქარონ მდინარეებისა და წყალდენების ყველაზე საშიში უბნების გაწმენდის სქემისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება;

— საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს — მიიღოს საჭირო ზომები წყალდიდობის დროს ვარციხის, ენგურისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში წყლის დონის დასაწევად;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეისწავლოს საკითხი საშიში სტიქიური მოვლენებისაგან დამცავი ნაგებობების დაპროექტების, მშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზისა და ექსპლუატაციისათვის სპეციალიზებული ორგანიზაციის შექმნის შესახებ და რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს შესაბამისი წინადადება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.
№ 115—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 292 საქართველოს სსრ პროკურორისა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ინფორმაციების გამო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ პროკურორის დეპუტატ ვ. ა. რაზმაძისა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ვ. ა. შარაშენიძის ინფორმაციები ბინების დაკეტვისა და გამოუყენებლობის საფუძვლიანობისა და გამოყოფილ ბინებში მოქალაქეთა შესახლების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულების გაჭიანურების მიზეზების შემოწმების შედეგების შესახებ.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მომავალშიც მუდმივი ყურადღება დაუთმონ აღნიშნულ საკითხებზე კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტად დაცვას, ყოველგვარ დარღვევათა ხელშემწყობი პირობების გამოვლენასა და აღმოფხვრას, მკაცრად მოჰკითხონ დამნაშავე თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს ერთი თვის ვადაში განიხილონ და მკაცრად შეაფასონ რესპუბლიკის პროკურორისა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ინფორმაციებში მოყვანილი ფაქტები. შედეგების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 ნოემბერი.
№ 116—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**293** ამხ. ს. ნ. სკრიპნიჩენკოს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დაქვემდებარებული გასამხედროებული სახანძრო ნაწილი — 22-ის მეხანძრე **ამხ. სერგი** ნიკოლოზის ძე **სკრიპნიჩენკო** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 25 ნოემბერი.

№ 1503—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**294** ამხ. ვ. დ. გოცირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სატრანსპორტო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ვიქტორ დავითის ძე გოცირიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 10 ნოემბერი.

№ 1477—XI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 295 ცხაკაიას რაიონის სოფ. ძველი სენაკის საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით ცხაკაიას რაიონის სოფ. ძველი სენაკის საშუალო სკოლა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 16 ნოემბერი.**
**№ 1489—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 296 ამხ. ა. ა. ბლრციანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ამხ. აკოპ არამის ძე ბლრციანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.**
**№ 1493—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 297 ამხ. ბ. ვ. დემეტრაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და გამომგონებლობითი მუშაობისათვის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი გურამ ვასილის ძე **დემეტრაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.
№ 1494—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 298 ამხ. ა. ვ. ზურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის გაზეთ „კომუნისტის“ პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე ამხ. ალექსანდრე ვასილის ძე **ზურაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.
№ 1492—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 299 ამხ. ც. შ. ჩხიკვიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წლისთან დაკავშირებით თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი ცოტნე შალვას ძე **ჩხიკვიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.
№ 1491—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 300 ამხ. ა. ა. ადონიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში წვლილისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გენერალ-მაიორი ანატოლი ალექსის ძე ადონიევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 26 ნოემბერი.
№ 1507—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 301 საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პირველი ქართული საბჭოთა უნივერსალური 11-ტომიანი ენციკლოპედიის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემაში დიდი წვლილისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

თინა გიორგის ასული გაბაშვილი — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მემონტაჟე.

სოფიო არტემის ასული გოდერძიშვილი — საქართველოს სსრ გამსახკომის საწარმოო განყოფილების უფროსი.

შოთა ნიკოლოზის ძე ვეშაპიძე — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დამკაბადონებელი.

კარლო რუბენის ძე ზუბიაშვილი — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ფოტოგრაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირან მკრტიჩის ასული **კაზარიანი** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მკინძავი.

ზინა ილიას ასული **კოზაევა** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მკინძავი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.
**№ 1514—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 302 თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშაკები:

გიორგი ზაქარიას ძე **ბერიკაშვილი** — ზეინკალ-ამწყობი.
თევდორე თევდორეს ძე **შიპცოვი** — ზეინკალ-შემკეთებელი.
ლევ პავლეს ძე **ჩურკინი** — უფროსი ოსტატი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.
**№ 1516—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 303 ამხ. ხ. ზ. კიპარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს

კომპარტიის საჩხერის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ხოზე ბორისის ძე კიპა-როიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.
№ 1508—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 304 ამხ. ზ. შ. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ზაურ შალვას ძე მარგველაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.
№ 1512—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 305 ამხ. თ. პ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. თინა პარმენის ასული მიქაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.
№ 1509—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 306 ამხ. ნ. გ. სიგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ნოშრევან გიორგის ძე **სიგუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.

№ 1510—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 307 ამხ. ნ. შ. ფალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ნათელა შამშეს ასული **ფალიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.

№ 1513—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 308 უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“**

სერგო ბაგრატის ძე **თოფურიას** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

**„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“**

ნინო ზაქარიას ასულ **ბერიძეს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტს.

დავით სოლომონის ძე **გაფრინდაშვილს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის პროფესორს.

ირაკლი დიმიტრის ძე **გედევანიშვილს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

ასატურ აპეტის ძე **გუკასიანს** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტს.

მარინა ალექსანდრეს ასულ **ივანოვას** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტს.

კობა იონას ძე **კვანტალიანს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, დოცენტს.

ნათელა სოკრატის ასულ **კეშელავას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელს.

ჯანსუღ ტიტეს ძე **კორძაიას** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოს უფროსს, პროფესორს.

ვახტანგ გრიგოლის ძე **ლომინაძეს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

გიორგი ანტონის ძე **მახარობლიძეს** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

მალხაზ იოსების ძე **მეტრეველს** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, დოცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ ვარლამის ძე **მეუნარგიას** — თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის დოცენტს.

ვალენტინა ალექსანდრეს ასულ **ჟიდკოს** — თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის დოცენტს.

შოთა იოსების ძე **ქურდაძეს** — სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგო-გიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

გიორგი გალაქტიონის ძე **შენგელიას** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის პროფესორს.

ლევან ევტიხის ძე **ჩხატარაშვილს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცი-ნო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, დოცენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.
№ 1500—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 309 უმაღლესი სკოლის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

უმაღლესი სკოლის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“

მაყვალა არჩილის ასულ **კასრაძეს** — თელავის ი. გოგებაშვილის სახე-ლობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს.

მარინა ალექსანდრეს ასულ **კოვალიოვას** — აფხაზეთის ა. მ. გორკის სა-ხელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განყოფილების გამგეს.

ვენერა იოსების ასულ **ქუთათელაძეს** — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

იური შალვას ძე **ადამიას** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მთავარ ინსპექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.
№ 1499—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 310 უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“** მიენიჭოთ:

ბორის მოსეს ძე **ვასერმანს** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ექსპერიმენტული ლაბორატორიის გამგეს.

ოსიკო მამედის ძე **გვარიშვილს** — ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორს.

რობერტ იოსების ძე **კიკნაძეს** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალური განათლების რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორს.

დავით ნიკოლოზის ძე **ნიკოლაძეს** — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო მუშაობის დარგში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.**
№ 1496—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 311 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ თანამშრომელთათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ თანამშრომლებს:

ელეონორა ვლადიმერის ასულ **ბათიაშვილს** — უფროს რედაქტორს.

ციალა არჩილის ასულ **იანქოშვილს** — უფროს რედაქტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ აკაკის ასულ ქვარიანს — ფიზიკა-მათემატიკური და ტექნიკური ლიტერატურის რედაქციის გამგეს.

გალაქტიონ ანთიმოზის ძე ღლონტს — ჟურნალ „მაცნეს" პასუხისმგებელ მდივანს.

ცისანა აბესალომის ასულ შალამბერიძეს — ჟურნალ „მაცნეს" პასუხისმგებელ მდივანს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.
№ 1497—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 312 ამხ. კ. ვ. ენგოიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" საერთაშორისო ცხოვრების სექტორის გამგეს ამხ. კონსტანტინე ვაროსის ძე ენგოიანს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 20 ნოემბერი.
№ 1495—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 313 საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა კომიტეტის სისტემის მუშაკებისათვის რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

პირველი ქართული საბჭოთა უნივერსალური 11-ტომიანი ენციკლოპედიის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემაში დიდი წვლილისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

ლერი აკაკის ძე გამგებელს — თბილისის № 1 სტამბის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონ თეოფილეს ძე **დუმბაძეს** — საქართველოს სსრ გამსახკომის ექსპერიმენტული ლაბორატორიის გამგეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**

ნათელა საბას ასულ **გვარამაძეს** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ინჟინერ-ტექნოლოგს.

რამაზ ნიკოლოზის ძე **კანდელაკს** — საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"**

არეთა კალენიკეს ასულ **გამყრელიძეს** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მონოტიპისტს.

დავით გრიგოლის ძე **ზუბიაშვილს** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მბეჭდავს.

სპირიდონ გიორგის ძე **თოთაძეს** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის უფროს ოსტატს.

თამარ ზაქარიას ასულ **კაძილოვას** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მკინძავს.

მარგალიტა იოსების ასულ **მურჯიკნელს** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ოსტატს.

ქეთევან მინას ასულ **ჯულელს** — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მკინძავს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.**
**№ 1515—XI**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 314 თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშაკთა ჯგუფისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

ივანე ალექსანდრეს ძე მხითარიანს — სატელეგრაფო ტექნიკის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს განყოფილების უფროსს.
შოთა იოსების ძე შიოშვილს — გენერალურ დირექტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"

ვაჟა გრიგოლის ძე ფარულავას — გენერალური დირექტორის მოადგილეს ეკონომიკის საკითხებში.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"

იური დიმიტრის ძე ბოლოთაევს — ზეინკალ-ამწყობს.
ოთარ სერგოს ძე კირვალიძეს — ხარატს.
კონსტანტინე სერგის ძე რატკევიჩს — ხარატს.
ნიკოლოზ გაბრიელის ძე სკლიაროვს — ხარატს.
არველოდი ვალერიანის ძე ჩახაიას — ზეინკალს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.
№ 1517—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 315 ამხ. ა. ა. ადამიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის მოადგილეს ამხ. ალექსანდრე არმენაკის ძე ადამიანს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

**თბილისი, 1987 წლის 27 ნოემბერი.**
**№ 1511—XI**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

13 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომამ განიხილა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი, საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის შესახებ, ცნობად მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ლ. ხაბურზანიას ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივმა კომისიებმა დაამთავრეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის, 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვა და მათ შესახებ მოამზადეს დასკვნები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში წარსადგენად.

*

* *

მოისმინა რა ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ტ. ხანიშვილის ინფორმაცია მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რაიონის საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სამართლებრივი პროპაგანდის გაძლიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდისათვის.

ამასთან ერთად ითქვა, რომ მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის რაიონში გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის, თანამედროვე ეტაპზე საჯაროობისა და დემოკრატიის განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

იუსტიციის ორგანოები ყოველთვის დროულად და კვალიფიციურად არ ეხმარებიან მოქალაქეებს მათი შრომითი, ქონებრივი, საბინაო, პირადი და სხვა უფლებების რეალიზაციაში, წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციისა თუ დავის ობიექტურ გადაწყვეტაში, პატივისა და ღირსების დაცვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაუმჯობესებელია იურიდიული კონსულტაციისა და საკონსულტაციო პუნქტების მუშაობა მოსახლეობისათვის კანონმდებლობის განმარტებისა და სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების შედგენისათვის; ცოტაა გაწეულ კონსულტაციათა რაოდენობა, ხოლო შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები ყოველთვის არ უპასუხებენ წაყენებულ მოთხოვნებს. მცირეა იმ სამოქალაქო საქმეთა რიცხვი, რომელთა განხილვაში მონაწილეობენ ადვოკატები; წლეულს ცხრა თვეში სახალხო სასამართლომ ადვოკატთა შუამდგომლობით მხოლოდ ორი კერძო განჩინება გამოიტანა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხებზე. ადვოკატების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე აღძრულ შუამდგომლობათა დაახლოებით 45 პროცენტი, ანუ თითქმის ყოველი მეორე დაუკმაყოფილებელია, რაც მოწმობს მათს არასაკმარის კვალიფიკაციას.

არასაკმარისია აგრეთვე მუშაობა რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების იურიდიული მომსახურებისათვის.

ნელა ინერგება მოქალაქეთათვის მოსახერხებელი სამართლებრივი მომსახურების ისეთი ფორმები და სახეები, როგორიცაა, მაგალითად, იურიდიული დახმარების გაწევა უშუალოდ საწარმოებში და საცხოვრებელ ადგილას.

სანოტარო კანტორაში ყოველთვის გულისხმიერებითა და ყურადღებით არ ეკიდებიან მოქალაქეთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმის ელემენტები ზოგიერთი სანოტარო მოქმედების შესრულებაში, შეინიშნება კანონმდებლობის მოთხოვნათა ცალკეული დარღვევები, ზოგჯერ დოკუმენტები შედგენილია არასაკმარისი სიზუსტით, მთელ რიგ შემთხვევებში არასწორად წარმოებს სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება და ა. შ. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას დადგენილი დარღვევების თაობაზე ყოველთვის დროულად არ ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს საჭირო ზომების მისაღებად.

დღევანდელობის მოთხოვნებს არც მმაჩის ორგანოების მუშაობა უპასუხებს. ქორწინებისა და დაბადების რეგისტრაცია ხშირად ფორმალურად, ჯეროვანი მომზადებისა და საზეიმო ვითარების გარეშე წარმოებს, რითაც კნინდება ამგვარი რიტუალების აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ნელა ინერგება ახალი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. კვლავ ბევრი შეცდომა და უზუსტობაა მოქალაქეობრივი მდგომარეობის საქტო ჩანაწერებში.

შემდგომ სრულყოფას, გადაჭრით შეცვლას საჭიროებს მოქმედი კანონმდებლობის, ახალი ნორმატიული აქტების განმარტებისათვის მუშაობაში დამკვიდრებული ფორმები და მეთოდები, იგი არ უკავშირდება რეგიონის მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ოპერატიულ ვითარებასა და სხვა იმ საკითხებს, რომლებიც აღელვებს რაიონის მოსახლეობას; ამ საქმიანობაში ნაკლებად მიიზიდებიან საბჭოთა აქტივი, სამართალდამცველი ორგანოები, საინფორმაციო სამსახურები, საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირო სამართლებრივი ცოდნისა და სპეციალური მომზადების მქონე სხვა პირები.

მოსახლეობაში განმარტებითი მუშაობის ხარისხიანად ჩატარებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ადგილებზე არ აქვთ ახალი კანონების ტექსტი, საჭირო იურიდიული და საცნობარო ლიტერატურა.

კვლავ არასაკმარისია რაიონის საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს როლი სამართლებრივ პროპაგანდასა და ყველა დაინტერესებული ორგანოს ძალთა გაერთიანებაში სოფლად სამართალაღმზრდელობითი მუშაობის დონის ასამაღლებლად.

მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და მოქმედი კანონმდებლობის განმარტებისათვის ადგილობრივი საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების მიერ გაწეულ მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები იმის შედეგიცაა, რომ ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს საბჭოთა მუშაკებისადმი, სამართალდამცველი ორგანოებისა და იუსტიციის ორგანოებისადმი, სრულად არ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებსა და შესაძლებლობებს მათი საქმიანობის სრულყოფისათვის.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო არასაკმარის მეთოდურ, სამართლებრივ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს რაიონის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სამართლებრივი პროპაგანდის დონის ამაღლებასა და მოქმედი კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობის გაუმჯობესებაში.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა რა საკითხი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე გამოთქმული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად გამოგზავნილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ, დაადგინა წინადადებები და შენიშვნები რეაგირებისათვის დაეგზავნოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამის განყოფილებებს დაავალა პერიოდულად შეამოწმონ აღნიშნულ წინადადებებსა და შენიშვნებში დაყენებული საკითხების სარეალიზაციოდ რესპუბლიკის სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ გაწეული მუშაობა; შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა სხვა საკითხებიც. ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

14 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ე. ა. დუკმასოვისა და კ. ი. ქაჯაიას ხსოვნას, რომლებიც სესიებს შუა პერიოდში გარდაიცვალნენ.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

2. საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დეპუტატი ო. გ. ვარძელაშვილი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა დ. ნ. დვალიშვილმა.

ამ ორ საკითხზე დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების თანამოხსენება, რომელიც გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ლ. ი. ხაბურზანიამ.

მოხსენებებისა და თანამოხსენებების გამო დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ი. ო. ანდრიაძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ო. გ. ზუხბაია — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გ. ე. ჩიგოგიძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, შ. პ. კოკოევი — ზნაურის რაიონის სოფელ ველეების კოლმეურნეობის მექანიზატორი, ლ. ა. ღურწკაია — საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ა. ო. მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესიანი — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, ე. ა. სეხნიაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, რ. შ. ჭეიშვილი — საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ გენერალური დირექტორი, ო. თ. მაისურაძე — საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი, ნ. ჟ. გვასალია — ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხნის მეგრაგნილე, ა. დ. ზურაბაშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. კამათში მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ო. ნ. სულაძე, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ო. დალაქიშვილი.

წლევანდელ წელს ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა პროდუქციის დანაკარგებთან დაკავშირებით მარნეულის რაიონის მისამართით გამოთქმულ კრიტიკას პასუხი გასცა საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ქ. ს. მამედოვმა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ო. გ. ვარძელაშვილმა.

სესიამ დაამტკიცა კანონი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. მიღებულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა დეპუტატი დ. ნ. დვალიშვილი.

დამტკიცდა კანონი საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის მიერ სესიის წინაშე შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე — კონკრეტულად რა ღონისძიებანი ხორციელდება მიმდინარე წელს სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის, პასუხი გასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. დ. მგელაძემ.

შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

დეპუტატებმა მოისმინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ვ. ა. კვარაცხელიას მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სახელზე შემოსულ კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის მემანქანე-მეამწევის, დეპუტატ მ. ვ. მაისურაძის კითხვას უპასუხა რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა დეპუტატმა ნ. გ. ვაშაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე განხილული იყო საკითხი — პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალურ სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ამ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების მოთხოვნის თანახმად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მუდმივი კონტროლი დაუწესა გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას, გადაწყდა, რომ უმაღლესი საბჭოს ყოველ სესიას მოახსენონ ხოლმე მათი შესრულების მიმდინარეობა.

ამასთან დაკავშირებით სესიაზე მოისმინეს ინფორმაციები: რესპუბლიკის პროკურორის დეპუტატ ვ. ა. რაზმაძისა — ბინების დაკეტვისა და გამოუყენებლობის ფაქტების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგებისა და საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად კანონით გათვალისწინებული ზომების მიღების შესახებ და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ვ. ა. შარაშენიძისა — გამოყოფილ ბინებში მოქალაქეთა შესახლების თაობაზე მთელი რიგი სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების გაჭიანურების მიზეზების შემოწმების შედეგებისა და ამასთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ.

სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის და აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიების სხდომა.

განხილულ იქნა საკითხი სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ვანისა და წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების მიერ ჩატარებული მუშაობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.

აღინიშნა, რომ ბოლო წლებში ორივე რაიონში გარკვეული მუშაობაა გაწეული ამ მიმართულებით.

ამასთან ერთად ორივე რაიონის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის საქმეს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება გააჩნია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებში არ არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვისა და გაძღოლის ერთიანი, მწყობრი სისტემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო საწარმოებში ნელი ტემპით მიმდინარეობს არსებული მანქანა-დანადგარების ხელახალი აღჭურვა და ახალი ტექნიკის დანერგვა.

წულუკიძის რაიონის სამრეწველო საწარმოებში ნაკლებად ზრუნავენ ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის ათვისებაზე, საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია შრომის ენერგო-და ელექტროშეიარაღების ზრდის ტემპი.

ვანის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელ კომბინატში, წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკასა და რაისამრეწველო კომბინატში მაღალია ხელით შრომის ხვედრითი წილი. ზოგიერთ საწარმოში დროულად, სრულყოფილად და ხარისხიანად არ ტარდება სამუშაო ადგილების ატესტაცია.

ნაკლოვანებებია გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეში. რიგ საწარმოებში არ არის შექმნილი რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიურო. ვანის რაიონში 1986 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა რაციონალიზატორული წინადადებების ავტორთა რიცხვი. წულუკიძის რაიონში მცირეა ერთ რაციონალიზატორულ წინადადებაზე მიღებული ეკონომიკური ეფექტი.

სუსტია სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანი და შემოქმედებითი კავშირები რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან.

პოზიტიური ძვრების მიუხედავად, სოფლის მეურნეობაში კვლავ დაბალია წარმოების განვითარების დონე.

წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობაში ნელი ტემპით იზრდება ენერგეტიკული სიმძლავრეები. რაიონის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ მუშაკზე ენერგეტიკულ სიმძლავრეთა არსებული დონე დაბალია ანალოგიურ რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით. არადამაკმაყოფილებელია მეცხოველეობაში მექანიზაციის დანერგვის მდგომარეობა, კერძოდ საშუალო რესპუბლიკურს ჩამორჩება ძროხის წველის, საკვების მიწოდებისა და დარწყულების მექანიზაციის მაჩვენებელი.

რაიონების ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ ხშირია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და შენახვის ტექნოლოგიის დარღვევის შემთხვევები; სათანადოდ არ არის გამოყენებული მექანიზაციისა და მელიორაციის შესაძლებლობები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის მხრივ ნაკლოვანებებია ვანის რაიონის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში. ანალოგიური მდგომარეობაა წულუკიძის რაიონში, აქ საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით 10 და მეტი პროცენტული პუნქტით დაბალია მშენებლობაში ცალკეულ სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის საკითხები ჯერ კიდევ არ გამხდარა ამ რაიონების საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიების მსჯელობის საგანი. ისინი არ ისმენენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეურნეობრიობის თანამედროვე ფორმებისა

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მეთოდების დანერგვისათვის გაწეული მუშაობის, გამომგონებლობა-რაციონალიზაციის შესახებ შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს. საბჭოებისა და აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამ საკითხებზე მოკლებულია კონკრეტულობას, სუსტია კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი.

წულუკიძის რაისაბჭოს აღმასკომში ყოველკვარტალურად არ ანალიზდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის გაწეული მუშაობა. იგივე ითქმის საწარმოების, ორგანიზაციებისა და მეურნეობების შესახებ, სადაც შედეგებს სისტემატურად არ იხილავენ.

1986 წელს ვანის რაისაბჭოს აღმასკომს არ განუხილავს და შესაბამისად არ დაუმტკიცებია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის ღონისძიებები, არ არის დამუშავებული რაიონის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის გეგმები. ასეთი გეგმები ასევე არა აქვთ საწარმოებს თითოეული საამქროსა და ბრიგადის მიხედვით.

მოსაგვარებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის მონაწილეთა მატერიალური დაინტერესების საკითხი. არც ერთ სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის წარმოება-დაწესებულებაში არ არის შექმნილი მატერიალური დაინტერესების ცენტრალიზებული ფონდი, დაბალია ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშება-ანალიზის დონე. წარმოება-დაწესებულებათა ბუღალტრები ვერ ფლობენ ეკონომიკური ეფექტის აღრიცხვის მეთოდს. მოუგვარებელია სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციით წარმოება-დაწესებულებათა უზრუნველყოფის საქმე. სუსტია სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანი და შემოქმედებითი კავშირები რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებთან.

ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად მიუთითებს იმაზე, რომ რაიონული საბჭოებისა და მათი აღმასკომების ორგანიზატორული მუშაობა უნდა გაძლიერდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის და აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიებმა სათანადო რჩევა მისცეს:

ვანისა და წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და აგროსამრეწველო გაერთიანებებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

სიღნაღისა და თეთრი წყაროს რაიონების სოფლის მოსახლეობის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიამ.

აღინიშნა, რომ ორივე რაიონის სოფლის მოსახლეობის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარების საქმე არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ამბულატორია-პოლიკლინიკების ძირითადი ნაწილი მოთავსებულია შეუფერებელ, მცირე ფართობის შენობებში, აკლიათ თანამედროვე აპარატურა. არასაკმარისადაა აღჭურვილი ამბულატორია-პოლიკლინიკური ქსელის ლაბორატორიები. დაბალია ზოგიერთი სოფლის (წნორის პოლიკლინიკა, სოფ. ხირსის ამბულატორია და სხვ.) მედპერსონალის პროფესიული მომზადების დონე და მუშაობის ხარისხი, სათანადოდ არ ხორციელდება მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

სიღნაღისა და წნორის პოლიკლინიკების კარდიოლოგიური, ქირურგიული, ნევროპათოლოგიური, სტომატოლოგიური, უროლოგიური და სხვა კაბინეტები დაკომპლექტებულია ექიმის 1,0 ან 0,5 საშტატო განაკვეთით, რაც შეუძლებელს ხდის ორ ცვლად მუშაობას.

მთელი რიგი მწვავე პრობლემებია თეთრი წყაროს მოსახლეობის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარების უზრუნველყოფის საქმეშიც.

სამედიცინო ქსელი ძირითადად დაკომპლექტებულია ახალბედა ექიმებით, მათ არც სათანადო ცოდნა აქვთ და არც პრაქტიკული გამოცდილება; მოუწესრიგებელი სატელეფონო კავშირის გამო საჭირო შემთხვევაში ძნელდება კონსულტაციის მიღება ცენტრიდან. ეს ვითარება აფერხებს სასწრაფო დახმარების მანქანების მუშაობასაც. არ გააჩნიათ რეანიმობილი, სასწრაფო დახმარების მანქანები არ არის აღჭურვილი ჟანგბადის პატარა ბალონებით. ამასთან მანქანები მცირე რაოდენობითაა.

გასაუმჯობესებელია რენტგენოლოგიური სამსახური, გასანახლებელია საჭირო აპარატურა, დაბალია რენტგენოლოგთა კვალიფიკაციის დონე.

ყველგან არ არის დაცული პერსონალის მუშაობის მცოცავი გრაფიკი მოსახლეობისათვის მოსახერხებელი დროის გათვალისწინებით.

თეთრი წყაროს რაიონში დაბალია ბავშვთა დისპანსერიზაციის მაჩვენებელი

ორივე რაიონში მოუწესრიგებელია ბავშვთა კვების საკითხი, პოლიკლინიკის განყოფილებებში არ არის სარძეო სამზარეულო 1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

არის შემთხვევები, როცა ამბულატორია-პოლიკლინიკის პირობები დამაკმაყოფილებელია (სოფ. ტიბაანი), მაგრამ მოუწესრიგებელია დისპანსერულ აღრიცხვაზე მყოფ ავადმყოფთა სამედიცინო დოკუმენტაცია, არ ტარდება ლაბორატორიული გამოკვლევები, ვინაიდან ლაბორანტი არა ჰყავთ. ვაკანტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია სტომატოლოგის შტატი. მოუწესრიგებელია გათბობა და სანიტარიული კვანძი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისია, ითვალისწინებს რა შესწავლილი რაიონების მდგომარეობას, რჩევას აძლევს:

სახალხო დეპუტატთა სიღნაღისა და თეთრი წყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომებს — ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის მერვე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსახლეობის სამედიცინო დახმარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; იზრუნონ მედიცინის მუშაკთა ადგილზე დამაგრებისათვის, შეუქმნან მათ სათანადო საბინაო, სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს — წნორის პოლიკლინიკის მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად მოაგვაროს ქ. წნორის ტრანსპორტის მუშაობის საკითხი, მოიყვანოს წესრიგში სატელეფონო ხაზი. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად სამედიცინო დახმარების გაფართოების მიზნით პოლიკლინიკას დაემატოს ქირურგის 1 ერთეული და გახსნას სასწრაფო დახმარების კაბინეტი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს — მიიღოს გადაუდებელი ზომები სოფლის ამბულატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად; გამოყოს თანხები სიღნაღის პოლიკლინიკის ამორტიზებული შენობის შეკეთებისა და მისი სამედიცინო აპარატურა-ინვენტარით აღჭურვისათვის; დაავალოს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პოლიკლინიკური და გადაუდებელი თერაპიის კათედრას გაუწიოს მეთოდური ხელმძღვანელობა და კურატორობა რაიონებში მომუშავე ახალგაზრდა ექიმებს; უზრუნველყოს სასწრაფო დახმარების ტრანსპორტის რადიოფიცირება, მანქანების პარკის გადიდება, შოკის საწინააღმდეგო ბრიგადების შექმნა: გააუმჯობესოს სასწრაფო დახმარების ტრანსპორტის მომარაგება სათადარიგო ნაწილებით; იზრუნოს საუბნო ამბულატორიების რადიოფიცირებასა და ტელეტაიპის აპარატების დადგმაზე, რაიონის სამედიცინო დაწესებულებებში დისტანციური კონსულტაციების ჩატარებაზე; უზრუნველყოს პოლიკლინიკები ფონოკარდიოგრაფებით, ელექტროკარდიოგრაფებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს — უფრო ქმედითი დახმარება გაუწიოს რაიონებს ამბულატორიებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა-შეკეთებაში.

ცეკავშირის გამგეობას — უზრუნველყოს სოფლად ბავშვთა კვების საკითხის მოგვარება.

რესპუბლიკის პროფსაბჭოს — გამოყოს თეთრი წყაროს რაიონისათვის მეტი რაოდენობის საგზურები სხვადასხვა პროფილის ბავშვთა სანატორიუმებში (კუჭ-ნაწლავისა და ნევროლოგიურ დაავადებათა პროფილით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს — აღმოუჩინოს საჭირო დახმარება სიღნაღისა და თეთრი წყაროს რაიონებს კავშირგაბმულობის საშუალებათა მუშაობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის სხდომაზე განიხილეს საკითხი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განვითარებისა და არსებული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ გარკვეული მუშაობა ჩაატარა რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი სრულყოფის, მომსახურების ქსელის გაფართოების, დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების და მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის.

ამასთან კომისიამ აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განვითარებასა და არსებული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფაში შეინიშნება რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების მიუხედავად საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განვითარება სოფლად მიმდინარეობს უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ქალაქად. თავის დროზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ხილბოსტნეულის ყოფილ სამინისტროებს არ შეუსრულებიათ დადგენილების მოთხოვნები, რომლებიც ეხებოდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მოსაწყობად საწარმოო ფართის გამოყოფას (აშენებას). ასევე ნელი ტემპით სრულდება მეთორმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ დადგენილების მოთხოვნები, რომლითაც საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს მიეცა იგივე დავალება. ყოველივე ამის შედეგად 1981-1987 წლებში გახსნილი 385 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტიდან სოფლის რაიონებზე მოდის მხოლოდ 76, ანუ 20 პროცენტი. რესპუბლიკის 400 კოლმეურნეობას და 384 საბჭოთა მეურნეობას, ანუ მათი საერთო რაოდენობის 58,6 პროცენტს არ გააჩნია საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი და კომპლექსური მიმღები პუნქტი. ამასთან 89 კოლმეურნეობა და 63 საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფილია მხოლოდ გასვლითი ფორმის მომსახურებით, ხოლო 34 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა საერთოდ ყოველგვარი მომსახურების გარეშეა დარჩენილი.

№ 11
ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობის განკარგულებით სისტემის კუთვნილი საწარმოო ფართი, 5960 კვ. მეტრი, გადაეცათ სხვა უწყებათა ორგანიზაციებს.

პრაქტიკულად არ შეცვლილა სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის სტრუქტურა; აქ კვლავ იგრძნობა მომსახურების ისეთ სახეობათა ნაკლებობა, როგორიცაა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეკეთება, ტანსაცმლის ქიმწმენდა, ღებვა და სხვ.

არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება მსხვილი სამრეწველო საწარმოების, მუშათა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების და სხვა მსხვილი ორგანიზაციების საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს. ზემოთ აღნიშნული საწარმოების ხელმძღვანელები სისტემატურად არ ასრულებენ დავალებას საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მოსაწყობად საწარმოო ფართის გამოყოფის შესახებ. ასე მაგალითად, 1984 წლის გეგმით გათვალისწინებული 28 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტიდან სამრეწველო საწარმოებში გაიხსნა 6 (გეგმის 21,4 პროცენტი), 1985 წელს — 32-დან 10 (31,3 პროცენტი).

ნაკლოვანებებია საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის საქმეშიც. მიმდინარე წლის იანვარ-ივლისის პერიოდში 61 მშენებარე ობიექტიდან არ დამთავრებულა 29 ობიექტი. აუთვისებელია 537,0 ათასი მანეთი. წლების მანძილზე ჭიანურდება ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა (საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი ქ. ქ. გაგრაში, ზესტაფონში და სხვ.).

გაუმჯობესებას მოითხოვს საწარმოო ფონდების მდგომარეობა. 525,6 ათასი კვ. მ. ფართობიდან, რომელზეც ამჟამად განლაგებულია სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ობიექტები, 50,0 ათასი კვ. მ. საჭიროებს შეკეთებას, 17,0 ათასი კვ. მ. — რეკონსტრუქციას, ხოლო 14,0 ათასი კვ. მ. დასანგრევია. ამავე დროს სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციები, რომელთაც ევალებათ შესაბამისი ობიექტების რეკონსტრუქცია თუ რემონტი, მუშაობენ ნელი ტემპით, დაბალია შესრულებული სამუშაოების ხარისხი.

წლიდან წლამდე ვერ კმაყოფილდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოთხოვნები ტექნოლოგიური დანადგარების გამოყოფაზე, მაშინ როდესაც არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა. 20,0 ათასი ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობიდან 3950 ერთეული, ანუ 15,2 პროცენტი მოძველებული და შესაცვლელია. მეტად დაბალია ტექნიკური აღჭურვილობის დონე საყოფაცხოვრებო მანქანა-ხელსაწყოების შეკეთების, სამკერვალო წარმოების და ავეჯის შეკეთება-დამზადების ობიექტებზე. რიგ შემთხვევებში ქვედარგები განიცდიან მოწყობილობა-დანადგარების მწვავე ნაკლებობას. ეს განსაკუთრებით შეეხება ბინების შეკეთებისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სფეროს, სადაც სამუშაოთა გეგმის შესრულება საწარმოო სიმძლავრეებით მხოლოდ 15 პროცენტითაა უზრუნველყოფილი.

ასევე მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს დარგის საწარმოთა მასალებითა და ნედლეულით მომარაგება. მიწოდებული მასალის ხარისხი დაბალია და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპასუხებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, რის გამოც ვერ ხერხდება პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შესრულება.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბინების შეკეთების და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სფეროშიც, სადაც ქვედარგის მოთხოვნილებას საშენ მასალებზე რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტი და სახმომარაგება სათანადოდ ვერ აკმაყოფილებენ.

მძიმე ფინანსური მდგომარეობაა მეტწილ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიამ სათანადო რჩევა მისცა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებს, საკავშირო დაქვემდებარების დარგობრივ საწარმოებს, რომლებიც განლაგებული არიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, და სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

„სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ" სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულებით ვადამდე შეწყვეტილად ჩაითვალა ახალქალაქის რაიონის № 142 არაკვის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სტეფანე ბაგრატის ძე **სტეფანიანის** უფლებამოსილება.